

საქართველოს ეროვნული ბანკის 2018–2019 წლების ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი დამოუკიდებელი აუდიტორის შესარჩევი საკონკურსო კომისიის განცხადება

საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 20 სექტემბრის N3522–II დადგენილების საფუძველზე შექმნილი საქართველოს ეროვნული ბანკის 2018–2019 წლების ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი დამოუკიდებელი აუდიტორის შესარჩევი საკონკურსო კომისია საქართველოს პარლამენტის სახელით აცხადებს კონკურსს საქართველოს ეროვნული ბანკის 2018–2019 წლის ანგარიშგების აუდიტის თაობაზე. საკონკურსო კომისია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს ოთხ ყველაზე მსხვილ აუდიტორულ ფირმას: "KPMG"-ის, "Deloitte Touche Tohmatsu"-ს, "Ernst & Young"-ს, "PriceWaterhouseCoopers"-ს.

- მომსახურება უნდა განხორციელდეს კონკურსში გამარჯვებულსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად და აუდიტი დასრულებული უნდა იქნეს არა უგვიანეს შესაბამისი წლის 15 აპრილისა;
- აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტორულმა ფირმამ აუდიტის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით;
- ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადებისა და საკონკურსო წინადადებების მიღება დაიწყება 2018 წლის 21 სექტემბრის 10 საათიდან და დამთავრდება 2018 წლის 1 ოქტომბრის 12:00 საათზე;
- კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 1 ოქტომბრიდან არაუგვიანეს 19 ოქტომბრისა;
- განაცხადებები და საკონკურსო წინადადებები მიიღება ქალაქ თბილისში, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0105, რუსთაველის გამზ. 8, ტელ: 995 32 281 315; კონკურსში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პრეტენდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება

შეუძლიათ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატში (ზემოაღნიშნულ მისამართზე) სამუშაო დღეებში (10 საათიდან 18 საათამდე): ტელ: 995 32 281 315; საკონტაქტო პირები: ირინა ლომია ელ.ფოსტა: ilomia@parliament.ge; რაულ გოგსაძე, ელ.ფოსტა: rgogsadze@parliament.ge;

- კონკურსში გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული;

კონკურსის ზოგადი წესი

1. კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარადგინონ ტექნიკური და ფინანსური წინადადებები;

2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადება უნდა იყოს ქართულ ენაზე;

3. ტექნიკური წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კონკურსანტის მონაცემებს და გამოცდილებას, რომელშიც უნდა შედიოდეს კონკურსანტის ორგანიზაციის აღწერა და ბოლო გამოცდილების მონახაზი მსგავსი აუდიტორული მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით (*განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პროექტებს, რომლებიც განხორციელდა ისეთ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა და საბანკო პოლიტიკა ახლოს დგას საქართველოსთან*), აუდიტორული მომსახურების განსახორციელებლად რეკომენდირებული პერსონალის შემადგენლობას, მოკლე ბიოგრაფიას, გამოცდილებას, შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობას;

ბ) შემოთავაზებული მეთოდოლოგიის დეტალურ აღწერას და სამუშაო გეგმას, რომლებიც საჭიროა აუდიტორული მომსახურების განსახორციელებლად;

გ) აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელ ჯგუფში სამუშაოს განაწილებას სპეციალობის მიხედვით, სამუშაოს აღწერილობას, რომლებიც მიეცემა ჯგუფის თითოეულ წევრს;

დ) სამუშაოს გრაფიკს;

ე) ბოლო 3 წლის განმავლობაში სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკებისათვის გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციას, აუდიტის დაწყებისა და დასრულების ვადებს.

4. ტექნიკური წინადადება არ უნდა შეიცავდეს რაიმე ფინანსურ ინფორმაციას.

5. ფინანსური წინადადება უნდა შეიცავდეს აუდიტორული მომსახურების ფასის შესახებ წინადადებას, რომელიც უნდა მოიცავდეს კანონით დადგენილ გადასახადებსაც. ფიქსირებული თანხა მოცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

6. აუდიტორის შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად კონკურსის მონაწილე საკონკურსო კომისიას წარუდგენს საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს, რომელშიც უნდა აისახოს პრეტენდენტის თანხმობა გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობაზე.

7. ტექნიკური და ფინანსური წინადადებები საკონკურსო კომისიას წარედგინება დედნის სახით და ყველა გვერდზე ხელს უნდა აწერდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

8. ტექნიკური და ფინანსური წინადადებების ორიგინალები, მათი ასლები მოთავსებული უნდა იქნეს ცალ-ცალკე, დალუქულ კონვერტში, რომელზედაც გარკვევით იქნება აღნიშნული: “ტექნიკური წინადადება”, “ფინანსური წინადადება”. ფინანსურ წინადადებაზე ასევე აღნიშნული უნდა იყოს “არ გახსნათ ტექნიკურ წინადადებასთან ერთად”. ორივე კონვერტი მოთავსებული უნდა იქნეს ერთ (ძირითად) კონვერტში და უნდა იყოს დალუქული. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომისიის მისამართი.

9. ყველა წინადადება, რომელიც მიღებული იქნება მათი წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ, ამ წინადადებათა წარმდგენს დაუბრუნდება გაუხსნელად.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2018–2019 წლების
ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი
დამოუკიდებელი აუდიტორის შერსაჩევი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კოვზანაძეს

ბატონო ირაკლი,

აუდიტორული ფირმა — (კონკურსანტის დასახელება,
იურიდიული მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო
რეკვიზიტები,) — თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს
ეროვნული ბანკის 2018–2019 წლების ანგარიშგების აუდიტის
განმახორციელებელი დამოუკიდებელი აუდიტორის შესარჩევ
კონკურსში და წარმოგიდგინოთ საკონკურსო წინადადებებს.

დანართი — გვერდი / — ფურცელზე.

პატივისცემით,

ხელმძღვანელის სახელი და გვარი

თარიღი: — —————